საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN1

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

14 იანვარი 2025 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე ,3.ჯემალი ისაკაძე, 4. იზა მაგრაქველიძე; 5. გიორგი ბარათაშვილი ; 6. კობა კაცაძე 7.ომარი ჯიხვაშვილი;8. ეკა ბერძენიშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: რუსუდან კოვზირიძე, დავით ცხადაძე, ნატალია ასათიანი;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ". თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1. **მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

კომისიის წევრებს განუმარტა, რომ ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით საჯარო დაწესებულებაში პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამართლებრივი სტატუსი გარდაიქმნა და მიეკუთვნა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კატეგორიას. შესაბამისად, სამართლებრივი სტატუსის ცვლილებამ განსხვავებულ სამართლებრივ რეგულაციაში მოაქცია საჯარო დაწესებულებაში ყველა პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: